ი ლ ი ა ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი
**მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი**
**მიმართულება - ჰუმანიტარული**
**საფეხური მაგისტრატურის**
ს ი ლ ა ბ უ ს ი

| | | |
|---|---|---|
| 1. | სასწავლოკურსისდასახელება | თანამედროვე სინტაქსური თეორია და წარმომშობი გრამატიკა |
| 2. | სასწავლოკურსისხანგრძლივობა | 1 სემესტრი |
| 3. | კრედიტებისრაოდენობა | 6 კრედიტი |
| 4. | საკონტაქტო საათებისრაოდენობა | 32საათი (მათშორის14 სალექციო, 12სასემინარო, 6საათიგანკუთვნილიაშუალედურიდა საბოლოო კოლოკვიუმებისათვის)<br>118 საათი დამოუკიდებელი მუშაობისთვის |
| 5. | ლექტორი | პროფ. ირინა ლობჟანიძე<br>სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ფაკულტეტი<br>ტელ: (+995) 32 722105; (+995) 99 317439<br>ელ-ფოსტა: irina_lobzhanidze@iliauni.edu.ge |
| 6. | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები | განსაკუთრებული წინაპირობები არ მოითხოვება, მაგრამ სასურველია რომ მას ჰქონდეს გავლილი ენათმეცნიერების შესავალი და ჰქონდეს წარმოდგენა ენის გრამატიკული წყობის შესახებ (ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი) |
| 7. | სწავლების მეთოდები | სწავლის მეთოდებია: ვერბალური მეთოდი, პრაქტიკული მეთოდი, ელექტრონული სწავლების მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება |
| 8. | სასწავლო კურსის მიზანი | გამოუმუშაოს სტუდენტებს სინტაქსური თეორიების ცოდნა; მიმოიხილოს თეორიები, რომლებიც უკავშირდება ზოგადად ბუნებრივი ენის სინტაქსურ დამუშავებას და, უშუალოდ, ქართული ენის სინტაქსურ წყობას;<br>გამოუმუშაოს სტუდენტებს სინტაქსური ხეების აგების უნარ-ჩვევები |
| 9. | ძირითადი თემები | 1. სინტაქსის საგანი. სინტაქსი და გრამატიკა. უნივერსალური და წარმომშობი გრამატიკები. წარმომშობი გრამატიკის ძირითადი ელემენტები. სუბორდინაციისა და კოორდინაციის ძირითადი საკითხები;<br>2. სინტაქსური კატეგორიები, ზმნა, ზმნის ტიპები და ქვეკატეგორიები, თემატური როლები, სერიებისა და მწკრივების დაჯგუფების პრინციპის შესახებ (I სერიის მწკრივები);<br>3. სინტაქსური ხის ტერმინოლოგია, ზმნური კონსტრუქციის (VP) სტრუქტურა, სახელური კონსტრუქციის (NP) სტრუქტურა, X’ სტრუქტურა, სერიებისა და მწკრივების დაჯგუფების პრინციპის შესახებ (II და III სერიის მწკრივები);<br>4. სინტაქსური ხის ახალი ტერმინოლოგია, სახელური კონსტრუქციების (NP) დაწვრილებითი აღწერა, X’ თეორია, სერიებისა და მწკრივების დაჯგუფების პრინციპის შესახებ (III სერიის მწკრივები), ქართული ზმნის კონსტრუქცია;<br>5. მარტივი წინადადებების ფუნქციონალური სტრუქტურა, სუბიექტ-ობიექტის ტრანსფორმაცია წინადადების ფარგლებში და მისი ასახვა სინტაქსურ ხეში, მარტივი სინტაქსური ხეები (გარდაუვალი და გარდამავალი), ფრაზის გრამატიკული სისწორის განსაზღვრის პროცედურები;<br>6. რთული წინადადების ფუნქციონალური სტრუქტურა (CP), ფუნქციონალური და გრამატიკული კატეგორიები, რთული თანწყობილი წინადადება და მწკრივთა შესაძლო |

<table>
<tr>
<td></td>
<td></td>
<td>კომბინაციები პარატაქსულ კონსტრუქციებში<br>7. ბრუნვა, როგორც სუბიექტისა და ობიექტის ნიშანი, კონსტრუქციული სხვაობა ინდოევროპულ და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის (ნომინატივი და ერგატივი)<br>8. თეტა როლი და ბრუნვით განპირობებული ფილტრი; რთული ქვეწყობილი წინადადება და მისი შედგენილობა<br>9. თეტა როლი, ბრუნვით განპირობებული ფილტრი და ბრუნვით განპირობებული ტრანსფორმაცია; ინდოევროპულ და იბერიულ-კავკასიურ კონსტრუქციათა შეპირისპირება (პასივი, კონვერსია და ინვერსია)<br>10. აწევა და მართვა, დამატებითი დამოკიდებული წინადადება (პირდაპირი, ირიბი და უბრალო)<br>11. წარმომშობი გრამატიკების თეორია, ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები, სხვა სახის დამოკიდებული წინადადებები<br>12. თანამიმდევრული დაქვემდებარება, ზერთული წინადადება, რთული წინადადების მარტივით შეცვლა</td>
</tr>
<tr>
<td>10.</td>
<td>სწავლის შედეგები და ძირითადი კომპეტენციები (დარგობრივი და ზოგადი)</td>
<td>თეორიული ცოდნა<br>ა) ზოგადი კომპეტენციები: სტუდენტი იძენს ცოდნას ბუნებრივი ენის სინტაქსური დამუშავების შესაძლებლობების შესახებ, არსებული სინტაქსური თეორიების თავისებურებებზე<br>ბ) დარგობრივი კომპეტენციები: ენობრივი მასალის სინტაქსური კვლევის მეთოდების შესწავლა, სინტაქსური ხეების აგება<br>პრაქტიკული ცოდნა<br>ა) ზოგადი კომპეტენციები: შეძენილი უნარ-ჩვევებისა და არსებული თეორიების საფუძველზე სტუდენტი შეძლებს წინადადების სინტაქსურ დამუშავებას<br>ბ) დარგობრივი კომპეტენციები: სინტაქსური ხეების აგება, წინადადების სტრუქტურული დამუშავება<br>უნარები: დამოუკიდებლად მუშაობის უნარი (წყაროებთან მუშაობის უნარი, წინადადების სინტაქსური ანალიზის ჩატარების უნარი); წინასწარ შეთანხმებული კვლევითი სამუშაოს შესრულების უნარი</td>
</tr>
<tr>
<td>11.</td>
<td>შეფასების წესი</td>
<td><table>
<tr><td>აქტიურობა/ჩართულობა</td><td>20%</td></tr>
<tr><td>პირველი კოლოკვიუმი</td><td>25%</td></tr>
<tr><td>მეორე კოლოკვიუმი</td><td>25%</td></tr>
<tr><td>გამოცდა (წერითი)</td><td>30%</td></tr>
<tr><td>საბოლოო შეფასება</td><td>100%</td></tr>
</table>
<br>აქტიურობისშეფასება მოიცავს ორ კომპონენტს: საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი / სიხშირე და სემინარზე დავალებების შესრულების ხარისხი / სიხშირე. თითოეული კომპონენტის ფარგლებში მოქმედებს შეფასების შემდეგი კრიტერიუმები.<br><br>საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი და სიხშირე:<br>10-7 ქულა - სტუდენტი <u>ყოველთვის</u> მზადაა სემინარისთვის: წაკითხული აქვს დაწერილი სკრიპტები და მომზადებული მასალა გამართულად მუშაობს<br>6-4 ქულა - სტუდენტი <u>უმეტესად</u> მზადაა სემინარისთვის: დავალება შესრულებული აქვს.<br>3-1ქულა - სტუდენტი უმეტესად იყო <u>მოუმზადებელი</u>: დავალება შესრულებული არა აქვს.<br>0 ქულა - <u>არასდროს</u> არ იყო მომზადებული სემინარისთვის: არ ჰქონდა წაკითხული მასალა და არ ჰქონდა დაწერილი</td>
</tr>
</table>

| | | |
|---|---|---|
| | | დავალებები.<br><br>*სემინარზე დავალებების შესრულების ხარისხი და სიხშირე:*<br>10-7 ქულა - სემინარზე იგი მუდმივად ვრცლად და ადეკვატურად პასუხობდა დასმულ კითხვებს და თავადაც აქტიურად სვამდა ადეკვატურ კითხვებს.<br>6-4 ქულა - სემინარზე იგი უმეტესად ჩართული იყო: სხვებთან ერთად ან ინდივიდუალურად ასრულებდა მიცემულ დავალებებს და მონაწილეობას იღებდა დისკუსიებსა თუ სხვა აქტივობებში.<br>3-1 ქულა - სემინარზე იგი ცდილობდა, შეესრულებინა დავალებები, მაგრამ მისი პასუხები სრულიად არაადეკვატური იყო. იგი ძალზე იშვიათად იღებდა მონაწილეობას დისკუსიებსა და სხვა აქტივობებში.<br>0 ქულა - მას არასდროს მიუღია მონაწილეობა დისკუსიაში.<br><br>**კოლოკვიუმების** შეფასება ხდება ტესტის საშუალებით, რომლის მაქსიმალური შედეგი 25 ქულაა. ტესტში წარმოდგენილიათეორიული და პრაქტიკული მასალა.<br>**საბოლოო გამოცდა არის წერითი.** გამოცდის შეფასება ხდება ტესტის საშუალებით, რომლის მაქსიმალური შედეგი 30%. გამოცდაზე დაშვების წინაპირობა 21 ქულა(სემინარებში მონაწილეობა + კოლოკვიუმებში მონაწილეობა) |
| 12. | ლიტერატურადასხვარესურსები | **სავალდებულო ლიტერატურა:**<br>• თ. გამყრელიძე, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თსუ გამომცემლობა, 2008;<br>• ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1996;<br>• ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973;<br>• ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973;<br>• ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, ნაწილი II, სინტაქსი, 1948;<br>• დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2011;<br>• Haegeman, Liliane, *Introduction to Government and Binding Theory*. Second Edition. Cambridge, Massachusetts: Blackwell, 1994;<br>• Vivian Cook, Mark Newson, *Chomsky's Universal Grammar: An Introduction*. Wiley-Blackwell, 3 edition, 2007;<br>• Andrew Carnie, Syntax: a generative introduction (Introducing Linguistics). Wiley-Blackwell, 2002;<br>• Beatrice Santorini & Tony Kroch, T*he Syntax of Natural Language*, 2011<br>**დამატებითი ლიტერატურა:**<br>• არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968;<br>• ფ. ერთელიშვილი რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, I, ჰიპოტაქსის საკითხები, თბ., 1962;<br>• ვ. თოფურია, რთული ქვეწყობილი წინადადების მარტივით შენაცვლებისათვის ქართულში: ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში, კრებ. X-XI, თბ., 1950;<br>• არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948;<br>• ლ. გეგუჩაძე, მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, თბ., 2005;<br>• გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948; |

| | | |
|---|---|---|
| | | • ა. კიზირია, სინტაგმის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954;<br>• ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990;<br>• ა. ღლონტი, ქართული წინადადება, თბ., 1966<br>**ინტერნეტ-რესურსები:**<br>• საკითხავი მასალა: http://www.ling.upenn.edu/~beatrice/syntax-textbook/index.html<br>**დამხმარე რესურსები:**<br>• პროექტორი;<br>• ამობეჭდილი მასალა |
| 13. | თემატიკა კვირების მიხედვით | იხ. დანართი |

დანართი (სასწავლო კურსის შინაარსი)

| № | ლექცია-სემინარების თემატიკა | ლიტერატურა |
|---|---|---|
| 1. | კურსის მიზნების, შინაარსის (ლექცია-სემინარების ზუსტი თემატიკა თარიღების მითითებით), ფორმატის, შეფასების კომპონენტების, სავალდებულო ლიტერატურის პრეზენტაცია.<br>**თეორიული მასალა:** სინტაქსის საგანი. სინტაქსი და გრამატიკა. უნივერსალური და წარმომშობი გრამატიკები. წარმომშობი გრამატიკის ძირითადი ელემენტები. სუბორდინაციისა და კოორდინაციის ძირითადი საკითხები.<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ლ. კვაჭაძე, გვ. 3-6; 11-32;<br>ა. გამყრელიძე, გვ. 246-256; |
| 2. | **თეორიული მასალა:** სინტაქსური კატეგორიები, ზმნა, ზმნის ტიპები და ქვეკატეგორიები, თემატური როლები, გარდამავლობა და სუბიექტ-ობიექტის განაწილება ქართულში<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | დ. მელიქიშვილი, გვ. 32-41;<br>Haegeman, L., გვ. 33-55 |
| 3. | **თეორიული მასალა:** სინტაქსური ხის ტერმინოლოგია, ზმნური კონსტრუქციის (VP) სტრუქტურა, სახელური კონსტრუქციის (NP) სტრუქტურა, X' სტრუქტურა, სერიებისა და მწკრივების დაჯგუფების პრინციპის შესახებ (II და III სერიის მწკრივები)<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ა. შანიძე, 1973, გვ. 220-224;<br>დ. მელიქიშვილი, გვ. 47-60;<br>Cook, V., გვ. 133-147 |
| 4. | **თეორიული მასალა:** სინტაქსური ხის ახალი ტერმინოლოგია, სახელური კონსტრუქციების (NP) დაწვრილებითი აღწერა, X' თეორია, სერიებისა და მწკრივების დაჯგუფების პრინციპის შესახებ (III სერიის მწკრივები), ქართული ზმნის კონსტრუქცია<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ა. შანიძე, 1973, გვ. 221-224, 224-235;<br>დ. მელიქიშვილი, გვ. 61-70;<br>Carnie, A., გვ. 105-138 |
| 5. | **თეორიული მასალა:** მარტივი წინადადებების ფუნქციონალური სტრუქტურა, სუბიექტ-ობიექტის ტრანსფორმაცია წინადადების ფარგლებში და მისი ასახვა სინტაქსურ ხეში, მარტივი სინტაქსური ხეები (გარდაუვალი და გარდამავალი), ფრაზის გრამატიკული სისწორის განსაზღვრის პროცედურები<br>**დამუშავებული საკითხების პრეზენტაცია**<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ა. გამყრელიძე, გვ. 260-265;<br>Santorini, B.:<br>http://www.ling.upenn.edu/~beatrice/syntax-textbook/ch4.html |
| 6. | **პირველი კოლოკვიუმი** | |
| 7. | კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი<br>**თეორიული მასალა:** რთული წინადადების ფუნქციონალური სტრუქტურა (CP), ფუნქციონალური და გრამატიკული კატეგორიები, რთული თანწყობილი წინადადება და მწკრივთა შესაძლო კომბინაციები პარატაქსულ კონსტრუქციებში<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ლ. კვაჭაძე, გვ. 358-375;<br>ლ. გეგუჩაძე, გვ. 68-74;<br>Santorini, B.:<br>http://www.ling.upenn.edu/~beatrice/syntax-textbook/ch5.html |
| 8. | **თეორიული მასალა:** ბრუნვა, როგორც სუბიექტისა და ობიექტის ნიშანი, კონსტრუქციული სხვაობა ინდოევროპულ და იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის (ნომინატივი და ერგატივი)<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ლ. კვაჭაძე, გვ. 228-235;<br>Santorini, B.:<br>http://www.ling.upenn.edu/~beatrice/syntax-textbook/ch8.html |
| 9. | **თეორიული მასალა:** თეტა როლი და ბრუნვით განპირობებული ფილტრი; რთული ქვეწყობილი წინადადება და მისი შედგენილობა | ლ. კვაჭაძე, გვ. 383-419;<br>ფ. ერთელიშვილი, გვ. 195-214;<br>Santorini, B.:<br>http://www.ling.upenn.edu/~beatrice/sy |

| № | ლექცია-სემინარების თემატიკა | ლიტერატურა |
|---|---|---|
| | **პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ntax-textbook/ch8.html#case-lic |
| 10. | **თეორიული მასალა:** თეტა როლი, ბრუნვით განპირობებული ფილტრი და ბრუნვით განპირობებული ტრანსფორმაცია; ინდოევროპულ და იბერიულ-კავკასიურ კონსტრუქციათა შეპირისპირება (პასივი, კონვერსია და ინვერსია)<br>**დამუშავებული საკითხების გამეორება**<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ა. შანიძე, გვ. 195-198, 282-288;<br>დ. მელიქიშვილი, გვ. 19-32;<br>Santorini, B.:<br>http://www.ling.upenn.edu/~beatrice/syntax-textbook/ch10.html |
| 11. | მეორე კოლოკვიუმი | |
| 12. | კოლოკვიუმში დაშვებული შეცდომების ანალიზი<br>**თეორიული მასალა:** აწევადამართვა,დამატებითი დამოკიდებული წინადადება (პირდაპირი, ირიბი და უბრალო)<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ლ. კვაჭაძე, გვ. 401-408;<br>Santorini, B.:<br>http://www.ling.upenn.edu/~beatrice/syntax-textbook/ch11.html |
| 13. | **თეორიული მასალა:** აწევა და მართვა, სხვა სახის დამოკიდებული წინადადებები<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ლ. კვაჭაძე, გვ. 420-445;<br>Santorini, B.:<br>http://www.ling.upenn.edu/~beatrice/syntax-textbook/ch11.html |
| 14. | **თეორიული მასალა:** წარმომშობი გრამატიკების თეორია, ზედაპირული და სიღრმისეული სტრუქტურები, სხვა სახის დამოკიდებული წინადადებები<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ა. გამყრელიძე, გვ. 268-271, 327-329<br>ლ. კვაჭაძე, გვ. 445-465; |
| 15. | **თეორიული მასალა:**თანამიმდევრული დაქვემდებარება, ზერთული წინადადება, რთული წინადადების მარტივით შეცვლა<br>**პრაქტიკული მასალა:** სტუდენტებს გადაეცემათ საკითხავი მასალა და პრაქტიკული დავალება | ლ. კვაჭაძე, გვ. 475-509;<br>ვ. თოფურია |
| 16. | **საბოლოო გამოცდა** | |